ადამიანის უფლებათა ცენტრი

წლიური ანგარიში

2023

HRC

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში.

მისია	*ცენტრი ხელს უწყობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მშვიდობის მშენებლობას და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.*
ხედვა	*ყველას აქვს უფლება, თავისუფლად და დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებების დაცვა არის განვითარებული, მშვიდობიანი, სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობა.*

საერთაშორისო ორგანიზაციები და ქსელები, სადაც გაწევრიანებულია ადამიანის უფლებათა ცენტრი

fidh	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) - www.fidh.org
OMCT SOS-Torture Network	წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება) - www.omct.org
HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION	ადამიანის უფლებათა სახლების ქსელი - www.humanrightshouse.org
CIVIC SOLIDARITY	სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმა - www.civicsolidarity.org
COALITION FOR THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT	კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის (CICC) - www.coalitionfortheicc.org
HRWF	ადამიანის უფლებები საზღვრებს გარეშე - www.hrwf.eu
IPB	მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB) - www.ipb.org
united	UNITED for Intercultural Action – ევროპული ქსელი ნაციონალიზმის, რასიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ და მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად - www.unitedfia.org
CRIN	ბავშვთა უფლებების საინფორმაციო ქსელი (CRIN) - www.crin.org
INTERNATIONAL LAND COALITION	მიწის საერთაშორისო კოალიცია (ILC) - www.landcoalition.org
EVERY CASUALTY COUNTS	მსხვერპლთა აღრიცხვის ქსელი- www.everycasualty.org

2023 წელი სამოქალაქო საზოგადოებისთვის გაორებული განწყობებით და შთაბეჭდილებებით იყო დატვირთული. ერთი მხრივ, მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად გვესმოდა მთავრობის, საპარლამენტო უმრავლესობის თუ პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერების ანტიდასავლური საჯარო განცხადებები. მეორე მხრივ კი, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაგასაყარზე და ქართველი ხალხის ძალისხმევით, წლის ბოლოს ქვეყანას მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

წლის დასაწყისში მთელ სამოქალაქო სექტორს და მედიას ხელისუფლების მხრიდან საქმიანობის აკრძალვის საფრთხე დაემუქრა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობამ საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად წარადგინა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტები. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის -

ალეკო ცქიტიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, შეშფოთება გამოხატეს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულ რუსული ყაიდის კანონებზე. *„რუსეთში ანალოგიური კანონის მიღების შემდეგ ბევრმა ორგანიზაციამ უარი თქვა მის აღსრულებაზე და დაიხურა. ვინც განაგრძო ფუნქციონირება, მზარდი კონტროლის, შევიწროებისა და რეპრესიების მსხვერპლი გახდა. რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი...“ „რუსული კანონის მიღების მცდელობა მიმართულია არა მხოლოდ თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიის, არამედ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ“,* - ნათქვამია ერთობლივ საჯარო განცხადებაში, რომელსაც უპრეცედენტოდ ბევრმა - ოთხასამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციამ მოაწერა ხელი.

კანონი, ფაქტობრივად, მიზნად ისახავდა, დონორი ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვასაც, რაც ნიშნავს, რომ *„დაუცველად დარჩნენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ქალები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმცირესობები, მეცნიერები, მშრომელები და ახალგაზრდები; დახმარება არ გაეწიოთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ფერმერებს, მაღაროელებს, უკანონოდ გათავისუფლებულ, დევნილ, უსახლკარო, თავისუფლებაშეზღუდულ და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლ სხვა ადამიანებს; არ გაშუქდეს მაღალმთიან და სხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ხმა, ვინც მხოლოდ ადგილობრივი, დამოუკიდებელი მედიის მეშვეობით აცნობს საზოგადოებას თავის გასაჭირს“.*

საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედმა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმაც მოუწოდეს, არ მიეღო კანონი აგენტების შესახებ. პარლამენტში კანონპროექტის პირველი მოსმენისას ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში პროტესტის გამოსახატად. ამის მიუხედავად, 7 მარტს საპარლამენტო უმრავლესობამ კანონი პირველი მოსმენით მაინც მიიღო, რასაც

მოჰყვა კიდევ უფრო დიდი საპროტესტო აქცია, რომელიც პოლიციამ ძალის გადამეტებით და კანონდარღვევით დაარბია. დააკავეს აქციის ათობით მონაწილე. 8 მარტს კი, როცა პარლამენტის წინ უფრო მეტი ადამიანი შეიკრიბა და პროტესტმა ხელისუფლებისთვის შემაშფოთებელი სახე მიიღო, საპარლამენტო უმრავლესობა იძულებული გახდა, კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩაეგდო. 7-8 მარტის აქციებზე ხალხმა, საზოგადოებამ კონსოლიდაციის და სოლიდარობის საუკეთესო თვისებები გამოავლინა, რითაც დაამტკიცა, რომ ერთგულია დასავლურ მისწრაფებებზე, რაც კონსტიტუციითაც არის გარანტირებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად აკვირდებოდა როგორც 7-8 მარტის, ისე წლის განმავლობაში ჩატარებულ სხვადასხვა საპროტესტო აქციებს. 2023 წლიდან შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგის პროექტს ცენტრი ჰერტიეს სკოლის კოორდინაციით, ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტთან და საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივასთან ერთად ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევების და ტენდენციების თაობაზე საზოგადოებას დროულად მიეწოდებოდა ინფორმაცია ანგარიშების სახით.

აქციების ორგანიზატორებს თუ მონაწილე სამოქალაქო აქტივისტებს წლის განმავლობაშიც არაერთი პრობლემა შეექმნათ პოლიციის მხრიდან, როდესაც დაუსაბუთებლად აკავებდნენ და მიჰყავდათ გაურკვეველი მიმართულებით, არ აძლევდნენ ადვოკატთან და ოჯახთან დაკავშირების უფლებას. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები იზოლატორებში კარდაკარ ეძებდნენ მათ, რათა არ დარჩენილიყვნენ ადვოკატის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომლები აპროტესტებენ „რუსულ კანონს“ პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე 08.03.2023

პრობლემურია სასამართლო პროცესები, სადაც მოსამართლეები საბჭოთა კავშირის დროინდელი, სამარცხვინო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ხელმძღვანელობენ. მათი გადაწყვეტილებებიც, დიდწილად, ამიტომაც არის პრობლემური.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წარმატებით აგრძელებს უფასო იურიდიული დახმარების პროგრამას, რომელსაც მრავალი წელია, მხარს უჭერს აშშ-ის ფონდი - „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED). ამ პროექტით ათასობით უფლებადარღვეულ ადამიანს გაეწია დახმარება, როგორც უფასო იურიდიული კონსულტაციით, ისე სასამართლოში წარმომადგენლობით. რამდენიმე წელია, პროექტი ასევე მოიცავს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგს.

ამავე დროს, 2023 წელს უფლებადამცველებს და სამოქალაქო აქტივისტებს ხშირად თვითონვე სჭირდებოდათ დაცვა, როდესაც პოლიცია უსამართლოდ ადანაშაულებდა მათ სხვადასხვა სამართალდარღვევაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახური აქტიურად მონაწილეობდა უფლებადამცველების დაცვის პროცესში. ამ მხრივ, ძალიან დაგვეხმარა ღია საზოგადოების ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტი - „უფასო იურიდიული დახმარება აქტივისტებისთვის“.

განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით 7-8 მარტის აქციების მონაწილის, ლაზარე გრიგორიადისის საქმეს. ლაზარე ერთდროულად არის მსხვერპლი და გმირი. **მსხვერპლია** იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ ის გამოარჩია 100 000 ადამიანიდან, ვინც რუსთაველზე რუსული კანონი გააპროტესტა. იგი შეარჩიეს მთელი თაობიდან და დაიწყეს არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი

თაობის დემონიზება, დისკრედიტაცია. **გმირი** არის იმიტომ, რომ მას სჯიან დანაშაულისთვის, რომელიც ვერ უმტკიცდება და ფაქტობრივად, იგი ისჯება მთელი სამოქალაქო საზოგადოების პოზიციისთვის, პროტესტისთვის. ლაზარესთვის მრავალწლიანი საპატიმრო სასჯელის დანიშვნა, რასაც აპირებს ხელისუფლება, იქნება პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება.

ბოლო წლების შემაშფოთებელი ტენდენციაა ჟურნალისტებისთვის საქმიანობის ხელშეშლა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. განსაკუთრებით ჟურნალისტები მოწყვლადები გახდნენ საპროტესტო აქციების გაშუქებისას, როდესაც მათ მიზანში იღებენ არა მხოლოდ მარგინალური, რადიკალური ჯგუფები, არამედ - პოლიცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ჟურნალისტებს, მედიის წარმომადგენლებს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს პროექტის ფარგლებში, რომელიც 2023 წლიდან ხორციელდება დოიჩე ველე აკადემიის მიერ მედიის განვითარების ფონდთან და ადამიანის უფლებათა ცენტრთან თანამშრომლობით, ევროკავშირის

ადამიანის უფლებათა ცენტრი შუურთდა შატილში ბიბლიოთეკის დაარსების კამპანიას

ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით. ამ პროექტით ასევე ცენტრმა მოამზადა საქართველოს მედიაგარემოს კვლევა, რომელიც 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნდა და დიდი ინტერესი გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მრავალი წელია ახორციელებს პროექტებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები ადამიანების მხარდასაჭერად, რაც მოიცავს მათი საჭიროებების კვლევას, ისე სამართლებრივ დახმარებას. საერთაშორისო დონორის და პარტნიორის - ნორვეგიის ჰელნსინკის კომიტეტის მხარდაჭერით, წლების განმავლობაში მრავალ ადამიანს დავეხმარეთ, მათ შორის - 2008 წლის ომით დაზარალებულებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ნდობის აღდგენის, მშვიდობის მშენებლობის და შერიგების პროცესში აქტიური მონაწილეობა. 2023 წელს გაგრძელდა თემატური შეხვედრები აფხაზი და ოსი პარტნიორების მონაწილეობით. წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ორგანიზაციის საქმიანობას მხარს უჭერდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი - Zivik და ინიციატივა გრძელვადიანი და ინკლუზიური მშვიდობისთვის (FLIP).

2023 წელს დოიჩე ველე აკადემიამ (DWA) მედიის განვითარების ფონდთან (MDF) და ადამიანის უფლებათა ცენტრთან (HRC) თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი - „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის“ (ConMeCo), რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობას მედიის თავისუფლების, მედია და ინფორმაციული წიგნიერებისა და დეზინფორმაციის მავნე გავლენის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით. პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრი უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს ადამიანებს, რომლებიც ჟურნალისტური საქმიანობით არიან დაკავებული.

საქართველოში არსებული მედიაგარემოს შესაფასებლად ორგანიზაციამ ჩაატარა საქართველოს მედიაგარემოს კვლევა. კვლევის მომზადების მიზანი იყო ეროვნულ

გიორგი კაკუბავა

აღმასრულებელი
დირექტორის მოადგილე

დონეზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, შესწავლა, შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი“ მიმდინარეობისას ორგანიზაციას 6 000 ათასზე მეტმა ადამიანმა მომართა იურიდიული კონულტაციისთვის, როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციული ასევე სისხლის სამართლის მიმართულებით. ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიულ დამხარება გაუწიეს არაერთ მოქალაქეს უფლებრივი რესტიტუციის კუთხით. ამავე პროექტის ფარგლებში HRC-ის მონიტორინგის ქვეშ მოექცა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სადაც სავარაუდო პოლიტიკური მოტივი შეიძლება იყოს გამოკვეთილი. პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ერთ-ერთი მიზანია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო განხილვებისას გამოვლენილი დარღვევების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება.

2023 წელს, ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, HRC-ის იურისტები 6 თვის განმავლობაში სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც სხვადასხვა საპროტესტო შეკრებისას პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციული წესით. პროექტის მიზანი იყო, ყველა დაკავებულ აქტივისტს ჰქონოდა მიეღო უფასო იურიდილი დახმარება და ადმინისტრაციულ ორგანოებში თუ სასამართლოებში დაეცვა საკუთარი უფლება კვალიფიციური წარმომადგენლის მეშვეობით.

2023 წლის 4-5 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრი მიწვეული იყო 25-ე (EU-NGO) ყოველწლიურ ადამიანის უფლებათა ფორუმში. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ახალგაზრდა უფლებადამცველებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ასოციაციების წევრებმა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ევროპული ინსტიტუტების წარმომადგენლებმა. ადამიანის უფლებათა ფორუმის ფარგლებში შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ახალგაზრდების უფლებების დაცვისთვის.

ნესტან ლონდარიძე

აღმასრულებელი
დირექტორის მოადგილე

ადამიანის უფლებათა ცენტრი წარმატებით აგრძელებს სტრატეგიული საქმეების წარმოებას, დაზარალებულთა ინტერესების დაცვასა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას.

2023 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები არაერთ სტრატეგიულ საქმეს აწარმოებდნენ. მათ შორისაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეები. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს ადვოკატებისა და ჟურნალისტების ინტერესების დაცვას, რომელთა სატელეფონო საუბრები უკანონოდ ისმინებოდა და ამის შესახებ ცნობილი გახდა 2021 წლის 13 სექტემბერს, როდესაც სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოქალაქეთა უკანონოდ, ფარულ სატელეფონო საუბრების მოსმენა/მიყურადების თაობაზე. ქართულ მედიასაშუალებებს მიეწოდათ ადვოკატების, სამოქალაქო აქტივისტების, რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, სასულიერო პირებისა და

სხვა პირთა კერძო კომუნიკაციებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები (ე.წ. კრებსები). გავრცელებული მასალების მოცულობის, მასშტაბისა და შინაარსიდან გამომდინარე, იკვეთება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის სავარაუდო სისტემური დანაშაული.

პრესკონფერენცია ადვოკატებთან ერთად, რომელთა ინტერესებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს ე. წ. მოსმენების საქმეში

2023 წლის 3 აგვისტოს შოვში განვითარებულ მეწყერისა და ღვარცოფული მოვლენებს 32 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სამართლებრივ ინტერესებს, რა დროსაც პროკურატურა ქმნის პროცესუალურ ბარიერებს დაზარალებულთათვის, არ გადასცემს სისხლის სამართლის საქმის მასალას, რის გამოც ადვოკატებს საქმის გაცნობა საგამოძიებო უწყებებში უწევთ.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატები ჩართული იყვნენ

შეკრებების და მანიფესტაციების მიმდინარეობისას დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების საქმეებში, სადაც დაკავებისას გადამეტებული ძალის გამოყენება იკვეთებოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას სამედიცინო კლინიკებში მკურნალობისას დაზარალებულ მოქალაქეებს. მიუხედავად იმისა, რომ საქმეების უმრავლესობა ცენტრის ადვოკატებმა წარმატებით დაასრულეს, იურიდიული დახმარების პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემები, რომლებმაც ხელი შეუშალა დაზარალებული პირების უფლებების დაცვას. კერძოდ, პრობლემაა, რომ ექიმ-სპეციალისტების ექსპერტიზაში ჩართვის არასავალდებულო ხასიათი აფერხებს ექსპერტიზას და მასში ჩართული ექიმების მიერ დასკვნის მომზადების პროცესს, შესაბამისად - მართლმსაჯულების განხორციელებას. ექიმის პროფესიაში დამკვიდრებული კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც იკვეთება ექიმის ბრალეულობა, ექიმები უარს აცხადებენ ექსპერტიზაში მონაწილეობასა და დასკვნის მომზადებაზე. სახელმწიფოს კი არ გააჩნია ბერკეტი აღმოფხვრას არსებული პრობლემა, ვინაიდან თავად ქმნის გაჭიანურების და ხშირ შემთხვევაში ჩაუტარებლობის საფუძველს. სამედიცინო დავების დიდი ნაწილი წლობის განმავლობაში ჭიანურდება საგამოძიებო ორგანოებში ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ. მათ შორის არაერთი საქმე აქვს ადამიანის უფლებათა ცენტრს, სადაც გადაულახავ პრობლემად დგას ექიმ-სპეციალისტების ექსპერტიზაში ჩართვის არსებული რეგულაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოქალაქეებს, რომელთა უფლებები დაარღვია სახელმწიფომ, ეხმარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საჩივრების მომზადებასა და

სასამართლოსთან კომუნიკაციაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე მნიშვნელოვანი საჩივარი, რომელიც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ცენტრი შსს-ს მიერ დარბეულ დემონსტრაციაზე ევროპული კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას ითხოვს. ასევე სტრასბურგის სასამართლო განიხილავს ცენტრის მიერ მომზადებულ საჩივრებს, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და 13-ე მუხლის დარღვევა იკვეთება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს ბრძოლას უკეთესი მომავლისთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრში იურიდიულ სამსახურს ვხელმძღვანელობ 2021 წლიდან. ორგანიზაციაში ჩემს სამსახურებრივ საქმიანობას წარმოადგენს იურიდიული ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტების განსაზღვრა და კოორდინაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მოქალაქეებისთვის უფასო იურიდიული დახმარების სერვისის მიწოდება. იურიდიული სამსახურის ჯგუფის წევრები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის და სამართლიანობის აღდგენის მიზნით.

სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, იურისტები ეწევიან საადვოკატო მომსახურებას, მუშაობენ საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალწარმოების მიმართულებით. ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, გაორგანიზაცია ყოველწლიურად აახლებს ადამიანის ღირსებების და უფლებების დაცვის პრიორიტეტებს/სტრატეგიას. ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი ცხოვრობდეს

ეკა ქობესაშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი

დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებების რეალიზების ფარგლებში მოქალაქეები უნდა უნდა იყვნენ დაცული ჩაგვრისგან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს პოლიციის და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. ორგანიზაციის იურისტები სისტემატურად სწავლობენ დახურული ტიპის დაწესებულებებში მოქალაქეების მიმართ ძალადობის და სხვა უფლებადარღვევის ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში, ეხმარებიან დაზარალებულებს.

გასული წლების მსგავსად 2023 წელს უფასო იურიდიული დახმარების პროექტის ფარგლებში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სტრატეგიულ და გახმაურებულ საქმეში. ორგანიზაციის იურისტების შეფასებით ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება:

- ოჯახში, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიება და სამართალწარმოება.
- შეკრების, სიტყვის და აზრის გამოხატვის დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებები, ამ საფუძვლით პასუხისგებაში მიცემული პირების მიმართ მოპყრობა და სამართალწარმოების პროცესი.
- ქვეყანაში არსებული პრობლემური შრომითი პოლიტიკა და დასაქმებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

ორგანიზაციის მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მედიის წარმომადგენლების მიმართ მომატებული ძალადობის და პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებს. ორგანიზაცია ყოველწლიურად აახლებს ადამიანის ღირსებების და უფლებების დაცვის პრიორიტეტებს/სტრატეგიას. ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი ცხოვრობდეს დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლოს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. ამ უფლებების რეალიზების ფარგლებში მოქალაქეები უნდა უნდა იყვნენ დაცული ჩაგვრისგან, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს პოლიციის და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. ორგანიზაციის იურისტები სისტემატურად სწავლობენ დახურული ტიპის დაწესებულებებში მოქალაქეების მიმართ ძალადობის და სხვა უფლებადარღვევის ფაქტებს. საჭიროების შემთხვევაში, ეხმარებიან დაზარალებულებს.

გასული წლების მსგავსად 2023 წელს უფასო იურიდიული დახმარების პროექტის ფარგლებში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სტრატეგიულ და გახმაურებულ საქმეში. ორგანიზაციის იურისტების შეფასებით ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება:

- ოჯახში, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეების გამოძიება და სამართალწარმოება.
- შეკრების, სიტყვის და აზრის გამოხატვის დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებები, ამ საფუძვლით პასუხისგებაში მიცემული პირების მიმართ მოპყრობა და სამართალწარმოების პროცესი.
- ქვეყანაში არსებული პრობლემური შრომითი პოლიტიკა და დასაქმებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

ორგანიზაციის მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მედიის წარმომადგენლების მიმართ მომატებული ძალადობის და პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებს.

კონსულტაციები	5252
სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში	3
სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში	1
წარმატებით დასრულებული საქმე	48
ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებაში	28

უჩა ნანუაშვილი

პროექტის დირექტორი

ადამიანის უფლებათა ცენტრი გაწევრიანებულია ისეთ ცნობილ საერთაშორისო ქსელებში, როგორიცაა: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT); ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია, მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB), მიწის საერთაშორისო კოალიცია (International Land Coalition), სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმა (Civil Solidarity Platform) და სხვა.

ცენტრი 2023 წელს აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას ამ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი ცენტრის სტრატეგიული პარტნიორი და დონორია. კომიტეტი მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობდა და ხელს უწყობდა ადამიანის უფლებების დაცვას რეგიონში. 2023 წელს, კომიტეტის მხარდაჭერით, ცენტრი აგრძელებდა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგს და ადვოკატირებას. ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს ახორციელებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების გამყოფ ხაზებზე მიმდინარე განგრძობად ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. ადამიანების თავისუფალი გადაადგილების შესაზღუდად არაერთი ხელოვნური ბარიერი იყო შექმნილი რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. გამყოფი ხაზის გასწვრივ, უკანონო „ბორდერიზაციის“ შედეგად, არაერთმა ადამიანმა დაკარგა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებების პრაქტიკა გრძელდებოდა და ასობით ადამიანი 2023 წელსაც გახდა ამ პოლიტიკის მსხვერპლი. ნოემბერში ოკუპანტის ტყვიას სოფელ კირბალში კიდევ ერთი ქართველი - თამაზ გინტური ემსხვერპლა. წინა წლებში გამყოფ ხაზთან ან მიმდებარე ტერიტორიებზე მომხდარი მკვლელობის/გარდაცვალების ფაქტები კვლავ არ არის გამოძიებული და დამნაშავეები არ დასჯილან. სოხუმის და ცხინვალის საპატიმროებში სხვადასხვა ბრალდებით დღემდე იმყოფება საქართველოს 8 მოქალაქე. მიუხედავად იმისა, რომ დასრულდა გამოძიება სამხრეთ ოსეთში პოლიტიკური დევნის მსხვერპლის ახალგორელი აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის საქმეზე, მას კვლავ არ ეძლევა კუთვნილი საბუთები და ვერ ახერხებს გადაადგილებას და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას.

ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩვეულ მოვლენას წარმოადგენს მოშლილი გზები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობა, სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა. მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით საგანგაშოა ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება და ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს

სწორედ ხანდაზმული პირები წარმოადგენენ. საარსებო წყაროებისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, სოფლებს ტოვებენ ახალგაზრდები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მცირე ნაწილს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა დარჩენილი, მოსახლეობის ნაწილი სრულყოფილად ვერ იყენებს, რადგან მომეტებული საფრთხის მატარებელია გამყოფ ხაზთან მიწის დამუშავება. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ თავს, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივებს აკავებენ და იტაცებენ. გლეხებს საძოვრებზე ვერ გაჰყავთ პირუტყვი, რადგან საოკუპაციო ხაზთან მისვლის ეშინიათ. ასევე, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არ არის პოლიციის საგუშაგოები, რაც კიდევ უფრო საფრთხის შემცველად მიაჩნიათ ადგილობრივებს.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა შიდა ქართლის რეგიონში 18 კონფლიქტისპირა სოფელი მოინახულეს და გაესაუბრნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სოფლებში დაფიქსირებულ პრობლემებთან დაკავშირებით ორგანიზაციამ მიმართა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. წლის ბოლოს ცენტრმა გამოაქვეყნა შემაჯამებელი ანგარიში - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი სამართლებრივ დახმარებას უწევდა 2008 წლის ომის მსხვერპლებს და დევნილებს კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებიდან.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის და ნორვეგიის საერთაშორისო საქმეების ინსტიტუტის (Norwegian Institute of International Affiars (NUPI) ორგანიზებით, ცენტრი მონაწილეობდა დისკუსიაში, რომელიც საქართველოში „უცხოეთის აგენტის“ შესახებ კანონის მიღების მცდელობას, ქვეყანაში სამოქალაქო სივრცის შევიწროების საკითხებს, პოლიტიზებულ მართლმსაჯულებას, რუსულ პროპაგანდას, ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის გაძლიერებას, 2008 წლის ომის დანაშაულების გამოძიებას და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა.

ცენტრი მონაწილეობდა ადვოკატირების შეხვედრებზე ევროკომისიის და ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იყო საქართველოს მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების საკითხები, მათ შორის - მედიაგარემო, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა, სასამართლო სისტემის და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობა და სხვ.

ცენტრმა ასევე მიიღო მონაწილეობა „ევროკავშირ-საქართველოს ადამიანის უფლებათა დიალოგის“ შეხვედრაში და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ასამბლეის მუშაობაში. ევროსაბჭოს სამოქალაქო საზოგადოების სამიტი ჰააგაში მიზნად ისახავდა ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა მეთაურების მე-4 - რეიკიავიკის სამიტისთვის რეკომენდაციების მომზადებას.

აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წლიური ასამბლეა

პანელური დებატები თემაზე - ციფრებსა და გისოსებს მიღმა - აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში პოლიტიკური პატიმრების მდგომარეობა - 2023 წლის EaP ინდექსის პერსპექტივა

დისკუსია

წარსულის გააზრების საკითხებზე

ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად აგრძელებს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგს, რაც გულისხმობს ასეთ საქმეებზე სასამართლო პროცესების მსვლელობისას სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაძლო დარღვევებისა და მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირებას. ადამიანის უფლებათა მონიტორები საერთო სასამართლოებში აკვირდებიან ან დააკვირდნენ მიმდინარე 39 საქმეს, რომლებთან დაკავშირებული მთავარი მიგნებებიც ასახულია 2023 წლის ივნისში გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ანგარიშში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ასევე, ახორციელებს შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგს, რაც მიზნად ისახავს შეკრების თავისუფლების დაცვის ხელშეწყობას, აქციების მიმდინარეობისას უფლებადარღვევების დოკუმენტირებასა და სამართალდამცავი ორგანოების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. 2023 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ 15 აქციას.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანია შეკრების თავისუფლების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ადვოკატირება საჯარო მოხელეებისთვის მონიტორინგის

ანა ჯაბური

მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი

მთავარი მიგნებების და რეკომენდაციების გაზიარების გზით. ამისთვის, ცენტრმა გამოაქვეყნა შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი და შუალედური ანგარიშები, სადაც იდენტიფიცირებულია შეკრების თავისუფლების დარღვევასთან დაკავშირებული მთავარი ტენდენციები. 2023 წელს, ასევე, გამოქვეყნდა მონიტორინგის მოკლე ანგარიშები შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებულ თემებზე, სადაც განხილული იყო: ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქცია, პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენება, არაიდენტიფიცირებადი და არაპროპორციული რაოდენობის პოლიციელების მობილიზება აქციებზე, საპროტესტო კარვების გაშლის ხელშეშლის პრაქტიკა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის თანაავტორობით გამოქვეყნდა გზამკვლევი საპროტესტო აქციების მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას და მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, გამოაქვეყნა აქციების მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეხმარება შეკრებებსა და მანიფესტაციებზე დაკვირვებაში.

აქციების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჩაწერა 9 ინტერვიუ რესპონდენტებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი აქციების ორგანიზებაში ანდა ხშირად იღებენ მათში მონაწილეობას. ინტერვიუების მთავარი მიგნებები თავმოყრილია შუალედურ და შემაჯამებელ ანგარიშებში. ამასთან, ადვოკატირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით ადამიანის უფლებათა ცენტრი შეხვდა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და პოლიტიკური ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელს.

საჯარო შეკრებების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია, 2023

2023 წელს, აქციების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის გუნდის წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: ადვოკატირება და კომუნიკაცია; ადამიანის უფლებების მონიტორინგი; ფიზიკური უსაფრთხოება აქციების მონიტორინგის დროს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში: „გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის წინაშე ალტერნატიული ანგარიშის მომზადების და წარდგენის თავისებურებანი.“

წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (OMCT) პარტნიორობით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარადგინა ალტერნატიული ანგარიში გაეროს ბავშვთა უფლებების

კომიტეტის 97-ე წინასასესიო სხდომაზე განსახილველად, სადაც იდენტიფიცირებულია ბავშვთა უფლებების მთავარი დარღვევები და შესაბამისი რეკომენდაციები სახელმწიფო ორგანოებისადმი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, წარადგინა წერილობითი კონტრიბუცია ადამიანის უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ვიზიტისთვის და, სხვა უფლებადამცველი ორგანოზაციების წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო მასთან შეხვედრას 2023 წლის 1 ნოემბერს. შეხვედრაზე გაჟღერებული მთავარი რეკომენდაციები ასახულია სპეციალური მომხსენებლის წინასწარ მიგნებებში.

ნინო ჩალაძე

იურისტი-ანალიტიკოსი

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად განაგრძობდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის კვლევას.

ადამიანის უფლებათა ცენტრში 2023 წელს ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების ანალიზს. პროექტის - „უფასო იურიდიული დახმარება, ადამიანის უფლებების და საზოგადოებრივი მოვლენების მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში, მოვამზადე ანალიტიკური დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირებას, სხვადასხვა უწყებების საკანონმდებლო აქტების შესწავლას, საერთაშორისო სტანდარტების კვლევასა და შესაბამის რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც ადამიანთა უფლებების დაცვის სტანდარტის გაზრდას შეუწყობს ხელს. ჩემს მიერ მომზადებულმა ანალიტიკურმა დოკუმენტებმა მოიცვა სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი;

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები.

2023 წლის განმავლობაში პროექტის ,,ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის“ ფარგლებში უფასო იურიდიული დახმარება გავუწიე მედიის არაერთ წარმომადგენელს, ვმუშაობდი შესაბამისი განცხადებების მომზადებაზე.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ პლატფორმასა და კოალიციასთან. წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი არაერთ შეხვედრაში. მონაწილეობა მივიღე კოალიცია თანასწორობისთვის საქმიანობის ანგარიშის (2022) შედგენაში. ასევე, მოვამზადე უხალკარო პირთა შესახებ ქვეთავი 2022 წლის ანგარიშში - დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში. დამატებით, ჩართული ვიყავი ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებების შემუშავებაში.

2023 წლის განმავლობაში, მოვამზადე განცხადებები და მიმართვები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით:

- ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებები Human Rights Watch-ის ანგარიშში აისახა.
- ადამიანის უფლებათა ცენტრი დაუშვებლად მიიჩნევს არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის იძულების წესით ჩატარებას.
- 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება.

- ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების სამკურნალო პრეპარატის შესყიდვის საჭიროების თაობაზე.
- ადამიანების სიცოცხლის უფლების დასაცავად - შოვის სტიქიასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება.
- მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ტენდენცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ დოკუმენტებში ასახული მიგნებების ადვოკატირებისთვის, გამოვიყენე სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმები.
29 მაისს გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოწვევით, შეკრებისა და მანიფესტაციის საკითხების განხილვის მიზნით, ვენის საერთაშორისო ცენტრში მივიღე მონაწილეობა რეგიონალურ კონსულტაციებში.

2 ივნისს, როგორც სპიკერმა, მონაწილეობა მივიღე ეუთოს პანელურ დისკუსიაში - „მართლმსაჯულება წამების მსხვერპლთათვის: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, უფლების აღდგენის და რეაბილიტაციის პრაქტიკული უზრუნველყოფა“, სადაც განვიხილე წამების მსხვერპლთა უფლებების სასამართლოში დაცვისა და შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იდენტიფიცირებული პრობლემები.

2023 წელს ადამიანის უფლებათა სახლის ქსელის მიერ ორგანიზებული ევროპის საბჭოს ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე არაერთ სამუშაო შეხვედრაში, ხოლო 9-13 ოქტომბერს სტრასბურგში ვესტუმრე ევროკავშირის დელეგაციას ევროპის საბჭოში და 11-მდე

ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეებთან მქონდა ინდივიდუალური პრეზენტაცია საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევების თაობაზე. დამატებით, შევხვდი ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის წარმომადგენელს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეესტრის იურისტს, გენერალურ მომხსენებელს უფლებადამცველთა მდგომარეობაზე და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ოფისის წარმომადგენლებს. დავესწარი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ დებატებს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსმენას.

ვენა, ავსტრია - ეუთოს პანელური დისკუსია „მართლმსაჯულება წამების მსხვერპლთათვის: მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, უფლების აღდგენის და რეაბილიტაციის პრაქტიკული უზრუნველყოფა“

2023 წელს ადამიანის უფლებათა სახლის ქსელის მიერ ორგანიზებული ევროპის საბჭოს ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე არაერთ სამუშაო შეხვედრაში, ხოლო 9-13 ოქტომბერს სტრასბურგში ვესტუმრე ევროკავშირის დელეგაციას ევროპის საბჭოში და 11-მდე ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეებთან მქონდა ინდივიდუალური პრეზენტაცია საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევების თაობაზე. დამატებით, შევხვდი ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის წარმომადგენელს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეესტრის იურისტს, გენერალურ მომხსენებელს უფლებადამცველთა მდგომარეობაზე და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ოფისის წარმომადგენლებს. დავესწარი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ დებატებს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსმენას.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელით, მონაწილეობა მივიღე გაეროს ბავშვთა კომიტეტისთვის ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებაში.

2023 წლის დასასრულს მოვამზადე ადამიანის უფლებათა ცენტრის ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა არის მიმოხილული და დეტალურად მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ დარღვევის მიმართულებით გამოვლენილი ტენდენციების, საკანონმდებლო საქმიანობისა და საჭიროებების შეფასებას.

ნინო ტლაშაძე

პროექტის კოორდინატორი

2023 წელს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდის - Zivik-ის მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გააგრძელა პროექტი *„თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის ნდობის აღდგენისა და ქართულ საზოგადოებაში წარსულის გადაფასების შესახებ დიალოგის ხელშეწყობა.“* ამ პროექტის ფარგლებში გაგრძელდა ქართულ-აფხაზურ-ოსური სამმხრივი შეხვედრები სომხეთსა და თურქეთში. ჩატარდა მშვიდობის მშენებლობის თემაზე ტრენინგები ქართველი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისთვის და სემინარი თბილისში ქართველი ახალგაზრდებისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოების შიგნით წარსულის გააზრების მიზნით თბილისში გამართულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებს, სადაც მშვიდობის მშენებლობაზე მომუშავე ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და აკადემიური წრეების წარმომადგენლები განიხილავდნენ იმ კონკრეტულ ნაბიჯებს და სტრატეგიულ ხედვებს, რამაც მნიშვნელოვნად ხელი უნდა შეუწყოს ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების შორის ნდობის აღდგენას და შერიგებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მოწვევით, პროექტის ფარგლებში გამართულ სამმხრივ შეხვედრებს, თბილისში გამართულ კონფერენციებსა და ახალგაზრდებისთვის ჩატარებულ ტრენინგ-სემინარებს უძღვებოდა კაი ბრანდ-ჯაქობსენი, რუმინეთის მშვიდობის ინსტიტუტის - PATRIR-ის პრეზიდენტი, სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორი (DPO); მედიაციის, მშვიდობის მშენებლობისა და სამშვიდობო პროცესების უფროსი საერთაშორისო ექსპერტი.

სემინარი „ნდობის აღდგენის შესაძლებლობების შეფასება წარსულის გაზრების საფუძველზე" თბილისი, 16-17 მაისი, 2023

პროექტით გათვალისწინებული შეხვედრების და დისკუსიების შედეგად, შესაძლებელი გახდა იმ კონკრეტული თემების და თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირება, რაზეც ქართველ და ოს, ქართველ და აფხაზ მოქალაქეებს შეუძლიათ კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება, რომელთა საბოლოო მიზანი ერებს შორის ნდობის აღდგენა და შერიგებაა. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, კაი ბრანდ-ჯაკობსენის მოდერაციით ჩატარებულმა შეხვედრებმა ბიძგი მისცა რამდენიმე პარალელურ პროექტს, რომლების განხორციელება ადამიანის უფლებათა ცენტრმა ან/და პარტნიორმა ორგანიზაციებმა დაიწყეს სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

მატილდა ჩაკაბერია

პროექტის მენეჯერი

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამუშაო წელი კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობისკენ მიმართული მნიშვნელოვანი ღონისძიებებით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით კი კონფლიქტის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებს შორის არაერთი წარმატებული სამხრივი სამშვიდობო შეხვედრებით. შესაბამისად, წელი დატვირთული იყო ქართველ, აფხაზ და ოსს კოლეგებსა თუ სამოქალაქო აქტივისტებს შორის სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ შეხვედრებითა და დიალოგებით.

ამ პროცესში მონაწილეები ერთობლივად მუშაობდნენ სამომავლო ხედვებსა და საერთო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში აღსანიშნია ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობაც. ჩვენს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა თუ სემინარებზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს ეძლეოდათ გამყოფ ხაზებს იქით მცხოვრებ ახალგაზრდებთან კომუნიკაციის დამყარების, კონტაქტების შექმნის, ახალგაზრდა თაობებს შორის ახალი ხიდებისა და ნდობის მშენებლობის პროცესში მათი, როგორც ახალი

თაობის, როლის არსებითი მნიშვნელობის გააზრების შესანიშნავი შესაძლებლობა.

სამოქალაქო საზოგადოების გაზრდილი წვლილისა და მისწრაფებების გარდა, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარებისთვის არსებითია ამ პროცესში პოლიტიკური პარტიების გააქტიურება და ნდობის აღდგენის პოლიტიკის დღის წესრიგის გადახედვა. ამ მიზნით 2023 წელს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დღის წესრიგის გამოწვევები, რაც დროულად საჭიროებს კონსტრუქციული მიდგომის ჩამოყალიბებას და შესაბამის რეაგირებას. აგრეთვე, ჩატარდა შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რათა ისინი მეტად დაინტერესდნენ და აქტიურად ჩაერთონ აფხაზ და ოს ხალხებთან ნდობის აღდგენის პროცესებში.

კონფლიქტის შემდგომ გაყოფილ მხარეებს შორის პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის განხილვის პარალელურად, 2023 წლის მეორე ნახევარში დავიწყეთ ქართულ-ოსური თანამშრომლობის ახალი რაკურსით წარმართვა, რომლის მიზანს ქართველ და ოსს მეწარმეებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივების ჩამოყალიბება და მათი ლობირება წარმოადგენს. დამატებით, დავიწყეთ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გასული საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტზე მუშაობა, რათა დროულად და სამართლიანად აღდგეს კონფლიქტის შედეგად ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების დარღვეული უფლებები.

ჩვენ გვჯერა, რომ საერთო მშვიდობიანი მომავალი მიღწევადია ურთიერთპატიებით, სტრუქტურირებული მიდგომითა და სამართლიანი ქმედებებით!

სტრუქტურირებული მიდგომითა და სამართლიანი ქმედებებით!

ნანა დოღაძე

იურისტი

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2023 წელსაც აქტიურად იყო ჩართული მოქალაქეების სამართლებრივი დახმარების აქტივობებში. იურისტები ყოველდღიურ რეჟიმში სამართლებრივ კონსულტაციებს ვუწევდით მოქალაქეებს, რომლებიც უკავშირდებოდნენ ორგანიზაციას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიულ ჯგუფს 2023 წლის ნოემბრიდან შევუერთდი. წლის ბოლომდე სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სატელეფონო კონსულტაცია გავუწიე 100-მდე მოქალაქეს. პირადად ოფისში, კონსულტაციის გზით, დოკუმენტების შედგენასა და მიმართულების მიცემაში სამართლებრივი დახმარება აღმოვუჩინე 10-ზე მეტ მოქალაქეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეებს ვაგრძელებ 2023 წლის 20 ნოემბრიდან. ამ დროის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე რამდენიმე მოქალაქის საქმის განხილვაში თბილისის საქალაქო სასამართლოში. მ. მ.-ს საქმეზე საქალაქო სასამართლომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 7 აგვისტოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ცნო ბათილად.

ი. შ.-ს სამოქალაქო საქმეზე კი ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს საქართველოს ბანკთან საქმის მორიგებით დასრულების მიზნით.

კვლავ გამოწვევად რჩება: გამოძიების მიერ მოქალაქეებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება, პროკურატურის დაუსაბუთებელი დადგენილებები დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, გაჭიანურებული საგამოძიებო მოქმედებები და გამოძიების მხრიდან მოქალაქეების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი.

სამედიცინო დავებზე, სადაც შესაძლოა არსებობდეს მედიცინის წარმომადგენლების მხრიდან მკურნალობისა და სამედიცინო მანიპულაციების შესაძლო გადაცდომის ფაქტები, გამოძიება გრძელდება შეუსაბამოდ დიდი დროით, ვერ ტარდება საქმეებზე დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზები და ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან გამოყოფილი სპეციალისტები, ხშირ შემთხვევაში, უარს აცხადებენ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე. ამ პრობლემების გამო ჭიანურდება სისხლის სამართლის საქმე, სადაც დაზარალებულმა მეოთხედ მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს საჭირო სპეციალისტის (ორთოდენტის) გამოყოფის შესახებ, მაგრამ პასუხად იგი ყოველ ჯერზე უარს იღებს ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში ორთოდენტის მონაწილეობაზე.

განსაკუთრებით რთულია მაღალი თანამდებობის პირებისა და სამართალდამცავების მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ დაწყებული გამოძიების დროულად დასრულება და ობიექტური შედეგის მიღება.

თამარ ქურთაული

იურისტი-მონიტორი

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი 2023 წლის განმავლობაშიც აქტიურად გაგრძელდა. საქმეების განხილვას ვაკვირდებოდით ორი იურისტი/მონიტორი. ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ მონიტორები ვამზადებდით შესაბამის ანგარიშებს. ანგარიშებში აღვწერდით საქმის განხილვის დეტალებს. იურისტი-ანალიტიკოსი ჩვენს მიერ მიწოდებულ ანგარიშებს იყენებდა ანალიტიკური დოკუმენტების და საჯარო ანგარიშებისთვის. მონიტორინგის პროცესში დაგროვდა მნიშვნელოვანი და მოცულობითი ინფორმაცია. ჩემი დაკვირვების ქვეშ არსებული საქმეებიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ადმინისტრაციული საქმეები, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენდნენ უფლებადამცველები. განსაკუთრებით ე. წ. სუფთა ფურცლების საქმე აღმოჩნდა რეზონანსული მისი შინაარსის გათვალისწინებით. 2023 წლის 2 ივნისს პარლამენტის წინ მშვიდობიან აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაცული წესით დააკავა უფლებადამცველები, რომელთა ნაწილი წარწერიანი ბანერებით, ნაწილი კი სუფთა თაბახის ფურცლით ხელში სოლიდარობას უცხადებდნენ იმ

ადამიანებს, ვინც რამდენიმე საათით ადრე დააკავეს ქაღალდზე დაწერილი სიტყვის („ირაყლი“) გამო. დაკავებულ პირებს შორის ერთ-ერთი იყო ედუარდ მარიკაშვილი, რომელიც თეთრი ფურცლის ხელში დაჭერის გამო დააკავეს. ყველაფერი კი დაიწყო ადვოკატ შოთა თუთბერიძის დაკავებით, რომელიც კიბეზე იჯდა და ხელში ეჭირა თაბახის ფურცელი წარწერით „ირაყლი“.

ხელში ბანერის ჭერა და ამ ფორმით საკუთარი აზრის გამოხატვა, თუნდაც ეს აზრი სხვისთვის მიუღებელი იყოს, დაცულია საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციით და არაერთი საერთაშორისო კონვენციით. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, უფლებადამცველები სამართალდამრღვევად იქნენ ცნობილი წვრილმანი ხულიგნობისთვის და ისინი 500-500 ლარით დააჯარიმეს.

2023 წელს მონიტორინგი განვახორციელე სავარაუდო პოლიტიკურად მოტივირებულ 43 სასამართლო სხდომაზე. ჩემი საქმეებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვამ თბილისის საქალაქო სასამართლოში. გამოიკვეთა თანაბარი, მტკიცებულებათა წარდგენის დაბალი სტანდარტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემდგენი ორგანოების მხრიდან. ამ როლში ძირითადად შსს გვევლინებოდა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს თავად განმხილველი მოსამართლეებიც, რომლებიც დაბალი სტანდარტით წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ძირითადად გამამტყუნებელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ამ მხრივ ყურადღება მიიქცია კოკა კობალაძის და ლაშა ჯანჯღავას ადმინისტრაციულმა საქმეებმა. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა მათი მხრიდან ადმინისტრაციული დარღვევა, უფრო მეტიც - ორივე შემთხვევაში სახეზე გვქონდა სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება.

კარლო შერაზადიშვილი

იურისტ-მონიტორი

რაც შეეხება სავარაუდო პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებს, 2023 წელს დამკვიდრებული ტენდენციის შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დარღვეულია ბრალდებულთა მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების უფლება. რიგ საქმეებზე არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა. სასამართლოს მთავარი არგუმენტი ამ საკითხზე არის, რომ სასამართლო გადატვირთულია და ამის გამო პრიორიტეტულად განიხილავენ საქმეებს, რომლებზეც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია საპატიმრო სასჯელი. ასეთ გაჭიანურებულ საქმეებს განეკუთვნება ლევან ხაბეიშვილის, კობა კოშაძის, გიორგი უგულავას და ნიკა მელიას სისხლის სამართლის საქმეები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისი, წინა წლების მსგავსად, NED-ის მხარდაჭერით, აგრძელებს უფასო იურიდიულ დახმარებას მოქალაქეებისთვის კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში. იურიდიული კონსულტაციების გაიცემა როგორც უშუალოდ მოქალაქეებთან პირისპირ, ასევე ონლაინ და ტელეფონის საშუალებით. ბენეფიციარებს წარმომადგენლობას ვუწევთ სასამართლოებში, პროკურატურაში, პოლიციაში როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე. 2023 წელს კონსულტაცია გაეწია 732 მოქალაქეს. მათ მოვუმზადეთ განცხადებები, სარჩელები, შესაგებლები სასამართლოში წარსადგენად. მოქალაქეები იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას მართლმსაჯულების განხორციელების და მიმდინარეობის შესახებ.

ლია ხუროშვილი

კახეთის ოფისის
კოორდინატორი

განსაკუთრებით აქტუალურია დავები, რომლებიც ეხება არასრულწლოვნებს. დავები მშობლებს შორის მიმდინარეობს, როგორც მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, ასევე ალიმენტის თაობაზე. ასეთი კატეგორიის დავების სირთულე არა მხოლოდ საქმის

განხილვის სპეციფიკაშია, არამედ სასამართლოების მიერ დავის გაჭიანურებაში. საქმის განხილვა იმდენად ჭიანურდება, რომ ზოგჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე თითქმის ორი წელი გადის. პრობლემაა ასევე უკვე მიღებული გადაწყვეტილებების დროული ჩაბარება, რაც ზემდგომ ინსტანციაში გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში მისი დასრულების ვადას კიდევ უფრო ახანგრძლივებს. საბოლოოდ ეს ძალიან უარყოფითად აისახება როგორც ბენეფიციარებზე, ასევე უფლებადამცველზეც.

კვლავ მზარდია ოჯახური ძალადობის სტატისტიკა კახეთში, ასევე სექსუალური ხასიათის დანაშაულები არასრულწლოვანთა მიმართ. ამგვარ საქმეებში, რა თქმა უნდა, ორგანიზაცია დაზარალებულ არასრულწლოვანთა ინტერესებს იცავს. ასევე კონსულტაციებით ვეხმარები დაზარალებული არასრულწლოვნის მშობელს, ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

სამწუხაროდ, დროში ჭიანურდება შრომითი დავების განხილვა. წელიწადზე მეტია ორ საქმეში, სადაც ჩვენი სარჩელები დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილებები დღემდე არ ჩაგვბარებია. მესამე ამ კატეგორიის დავაში კი სასამართლომ მოსამზადებელი სხდომა თითქმის ორი წლის შემდეგ ჩანიშნა. ამგვარი დამოკიდებულება მოტივაციას უკარგავს მომჩივანს. სიტუაციას ამწვავებს ის გარემოება, რომ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, რომელშიც სამი დიდი მუნიციპალიტეტი, გურჯაანი, ყვარელი და ლაგოდეხი ერთიანდება, შტატით გათვალისწინებული შვიდი მოსამართლის ნაცვლად სულ სამი მოსამართლეა. აქედან ერთი - ლაგოდეხის, მეორე კი ყვარლის მაგისტრატი მოსამართლეა, მესამე - რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

ხშირია მომართვიანობა იმ მოქალაქეებისა, რომელთაც სასამართლოში ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები უჩივიან სესხზე ვადაგადაცილების გამო. ასევე ხშირია მომართვები, როდესაც

მოქალაქეებს შორის დადებულია დაფარული გარიგებები. სამწუხაროდ, სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა იმგვარია, რომ მევახშეთა და თაღლითთა ინტერესებზეა მორგებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის ოფისი აქტიურად მონაწილეობს რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებში. ასევე ვთანამშრომლობთ რაიონში ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც გარკვეული როლი აქვს მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან. ვთანამშრომლობთ გურჯაანის ქალთა ოთახთან. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიწვევით, ჩავატარე შეხვედრა მუნიციპალიტეტის სკოლებისა და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორებთან და წარმომადგენლებთან ოჯახური ძალადობისა და არასრულწლოვანთა უფლებების თემაზე.

2023 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისმა გასწია 1500-ზე მეტი იურიდიული კონსულტაცია, რა დროსაც ბენეფიციარებს მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გზებსა თუ საშუალებებზე. ოფისმა წარმატებით დაასრულა 27 საქმე. შესაბამისად, მოქალაქეებმა, ჩვენი დახმარებით, შეძლეს საკუთარი დარღვეული უფლებების დაცვა და ინტერესების დაკმაყოფილება. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ უფრო მეტი იციან შიდა ქართლის მასშტაბით, რასაც ასევე ადასტურებს ოფისის 79 მედიააქტივობა. ამ კუთხით აღსანიშნავია არაერთი დადებითი შეფასება ჩვენი საქმიანობის მიმართ. წინა წლების მსგავსად, დადებითად შეფასდა ოფისის საქმიანობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ არაერთი შეხვედრისას.

ძირითადი პრობლემები, რაზეც 2023 წლის განმავლობაში მოგვმართავდნენ იყო: სოციალური ხასიათის დავები, მათ შორის - დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხები, შრომითი დავები კერძო თუ საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ, საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმები, პოლიციელთა

ალექსი მერებაშვილი

შიდა ქართლის ოფისის
კოორდინატორი

უკანონო ქმედებები, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის, დევნილების და ომის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემები, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, საკრედიტო და კერძო გამსესხებლების მიმართ არსებული დავები.

წარმატებული საქმეებიდან აღსანიშნავია დევნილების ე.ზ.-სა და თ.ც.-ს საქმეები, რომლებიც ითხოვდნენ საცხოვრებლით დაკმაყოფილებას დევნილთა სააგენტოსაგან. სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სააგენტოს დაევალა მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

გორის სამხედრო ჰოსპიტლის მიმართ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული ყველა დავა დასრულდა უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლების სასარგებლოდ. ასევე, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან უკანონოდ გათავისუფლებულებმა სასამართლოს გზით მიიღეს კომპენსაციები და განაცდურის ანაზღაურება.

აღსანიშნავია სასამართლო დავები გარემოსდაცვითი მიმართულებით, სადაც ცენტრი თანამშრომლობს CENN-თან. ვაწარმოებთ რამდენიმე საქმეს ტყის ფონდში მდებარე მიწის ნაკვეთების კერძო პირებზე უკანონოდ რეგისრრაციებთან დაკავშირებით. ბულაჩაურსა და ზემო ბულაჩაურში მდებარე ნაკვეთებზე მიმდინარე სასამართლო წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლომ შეწყვიტა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, მაგრამ ცენტრის მოთხოვნით, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და დაავალა ამავე სასამართლოს არსებითად იმსჯელოს საკითხზე.

2023 წლის მსგავსად მნიშვნელოვან სირთულეს ისევ წარმოადგენს გაჭიანურებული სასამართლო დავები. არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ ინიშნება პროცესები სხვადასხვა საქმეებზე, მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებზე წარდგენილ საქმეებზე. იურისტის აქტიური ჩართულობითა და მოთხოვნით, თითქმის ორწლიანი ლოდინის შემდეგ, ბრალი წაეყენათ სამოქალაქო აქტივისტ ირაკლი მილაძეზე მოძალადე კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესა და ამავე საკრებულოს აპარატის უფროსს. მილაძისა და სხვა დაზარალებულთა საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ კვლავ დიდი ძალისხმევაა საჭირო იმ დაზარალებულთა უფლებების დასაცავად, რომელთა მიმართაც დანაშაული ჩაიდინეს საჯარო მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა. განსაკუთრებით რთულია პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მიღწევა.

NED-ის პროექტის ფარგლებში შიდა ქართლის ოფისის წარმატებულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა მონაწილეობა მიგვეღო სხვა პროექტებშიც შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის (NHC) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი 2023 წელს იურიდიულ დახმარებას უწევდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ მოსახლეობას, აწვდიდა მათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და მათი უფლებების თაობაზე ინფორმაციას, იკვლევდა დაზარალებულთა საჭიროებებს.

ასევე, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტროს თანადაფინანსებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს პროექტს „ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი

საზოგადოებისთვის“ (ConMeCo) დოიჩე ველე აკადემიასა და მედიის განვითარების ფონდთან ერთად. პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარება გაეწიათ ჟურნალისტებს, რომლებსაც ხელი შეუშალეს საქმიანობისას და მიაყენეს ფიზიკური თუ სიტყვერი შეურაცხყოფა. ცენტრის იურისტი წარმოადგენს მათ ინტერესებს სხვადასხვა საგამოძიებო უწყებაში და საერთო სასამართლოებში, ასევე - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ანა ჩაფიძე

იურისტი დასავლეთ საქართველოში

2023 წლიდან ივნისიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს პროექტს ,,ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის“. პროექტის აქტივობებში ჩართული ვარ, როგორც ცენტრის იურისტი დასავლეთ საქართველოში.

პროექტი იმერეთის რეგიონის ჟურნალისტებისთვის და მედიის სხვა წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა მათ ხელი ეშლებათ თავიანთი ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში.

პროექტი მიზნად ისახავს ჟურნალისტებისთვის და მედიის წარმომადგენლებისთვის უფასო სამართლებრივ დახმარებას. პროექტის დაწყებიდან 7 თვის განმავლობაში იმერეთში ორგანიზაციას სამართლებრივი დახმარებისთვის მომართა მედიის ექვსმა წარმომადგენელმა. ასევე მედიის წარმომადგენლებს გაეწიათ იურდიული კონსულტაცია. ამ პერიოდში მათთვის მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა მათი საჭიროებების და პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით.

ორგანიზაციის მიმდინარე საქმეები ეხება ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლას. ცენტრი მათ ინტერესებს იცავს

სხვადასხვა რეგიონის სამართალდამცავ სტრუქტურებში და სასამართლოებში. ცენტრის ძალისხმევით, რამდენიმე ჟურნალისტი საქმიანობის ხელშეშლის ფაქტზე ცნობილია დაზარალებულად, ხოლო დანარჩენებზე მიმდინარეობს მუშაობა მათი დაზარალებულებად ცნობის და საქმეების გამოძიების ობიექტურად წარმართვის მიზნით.

იმერეთის რეგიონში გამოიკვეთა ერთ-ერთი სისტემური პრობლემა, რაც ეხება საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას. ხშირად დაგვიანებით მიღებული ინფორმაცია ხელისშემშლელი ფაქტორია ჟურნალისტის საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის. ამ საკითხებზე და ჟურნალისტების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობას.

.

„ხარისხიანი მედია და მედიის გაცნობიერებული მოხმარება მედეგი საზოგადოებისთვის“ (ConMeCo)

თათა თორდინავა

საზოგადოებასთან
ურთიერთობის
სამსახურის უფროსი

ადამიანის უფლებათა ცენტრი, წინა წლების მსგავსად, 2023 წელსაც ინარჩუნებს უწყვეტ კავშირს საზოგადოებასთან. ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას კვლავ წარმოადგენს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. დონორებისთვის და პარტნიორებისთვის კი მნიშვნელოვანია, პროექტები, რომლებსაც ცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებენ, მაქსიმალურად აღქმადი და ცვლილებების მომტანი იყოს საზოგადოებისთვის. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს პროექტების მიხედვით სხვადასხვა აქტივობებით ინფორმაციის აუდიტორიისთვის მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივ დახმარებას.

საკომუნიკაციო პლატფორმებიდან ცენტრი იყენებს ვებგვერდს - hrc.ge, ინტერნეტგაზეთს - humanrights,ge, *იუთუბ* არხს, ინსტაგრამს, *ლინკედინს*, ყველაზე ხშირად კი - ფეისბუკსა და ტვიტერს, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს დაინტერესებული ადამიანების ჩართულობა და ინტერაქცია.

ორგანიზაციის ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე თვეში, საშუალოდ, 40 პოსტი იდება, მზარდია სამიზნე აუდიტორია

და გვერდის მიმდევრების რიცხვი, პოსტებს ნახევარ მილიონზე მეტი (519 398) ადამიანი ნახულობს. საიტის - Hrc.ge-ს დახმარებით ორგანიზაცია აქვეყნებს ცენტრის საქმიანობის ამსახველ ინფორმაციას. Humanrights.ge არის *მედიარესურსი*, რომლის მიზანი საქართველოში უფლებადაცვითი ჟურნალისტიკის განვითარება და ადამიანის უფლებების შესახებ ზოგადი ცნობიერების ამაღლებაა. Hrc.ge-*ს*ა და Humanrights.ge-ზე ერთი წლის განმავლობაში 130-მდე პუბლიკაცია გამოქვეყნდა. საიტებს ჯამში 100 000 ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

ეროვნული და რეგიონული მედიები მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებენ ადამიანის უფლებათა ცენტრთან, როგორც სანდო და ობიექტურ ორგანიზაციასთან. 2023 წელი დატვირთული იყო ორგანიზაციის წარმომადგენლების პოლიტიკურ-სოციალური ფორმატის გადაცემებში სტუმრობით და კომენტარებით. ორმხრივი თანამშრომლობა უზრუნველყოფს მიუკერძოებელი და თანმიმდევრული ინფორმაციის გავრცელებას.

ანგარიშების და კვლევითი დოკუმენტების პრეზენტაციები, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით წელსაც მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენდა. საქართველოში მოქმედი საელჩოების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მსგავს ღონისძიებებს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო.

2023 წელსაც ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობდა სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ ხელისუფლების წარმომადგენლებთან კომუნიკაციას და მათთვის იმ მნიშვნელოვანი საკითხების და რეკომენდაციების გაცნობას, რომლებიც ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშებში და კვლევით დოკუმენტებშია შემუშავებული.

ასევე მთელი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. ვიზიტების მიზანს საქმიანი შეხვედრები და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები წარმოადგენდა.

ორგანიზაცია წინა წლების მსგავსად 2024 წელსაც ხელს შეუწყობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მშვიდობის მშენებლობას და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ირმა მამასახლისი

IT მენეჯერი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზნების განხორციელებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ოფისში იყოს ტექნოლოგიურად უსაფრთხო და გამართული სამუშაო გარემო:

- თითოეული თანამშრომელი უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე პერსონალური კომპიუტერითა და საჭირო საოფისე პროგრამებით.
- შეუფერხებლად მუშაობდეს გარე და შიდა საკომუნიკაციო ქსელი.
- მყისიერად გამოსწორდეს ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი ხარვეზი.
- პერიოდულად ხდებოდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება, მუდმივად დაცული იყოს ციფრულ მონაცემთა ბაზების უსაფრთხოება.
- მიმდინარეობდეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ციფრული უსაფრთხოების საკითხებში.

პროექტის ფარგლებში - „ციფრული უსაფრთხოება“, 2023 წელს, ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი, რომელის ფარგლებშიც მოხდა მონაცემთა ბაზების კლასიფიკაცია უსაფრთხოების დონეთა მიხედვით, შემუშავდა მონაცემთა დაცვის საუკეთესო მექანიზმები და სრულად განახლდა პროგრამული უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ღერძი და მამოძრავებელი ძალა - ფინანსებია. სწორედ ფინანსური მენეჯერის მოვალეობაა წარმართოს ორგანიზაციის ფინანსები სწორად. წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაუღალავი შრომის, მონდომებისა და უდიდესი სურვილის წყალობითაა შესაძლებელი.

ცისმარი ბაბლიძე

ფინანსური მენეჯერი

კანონის უზენაესობის გაძლიერება

- საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობით და მათი განხორციელების მონიტორინგით;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით ადამიანის უფლებებისა და მათი რეალიზაციისათივს ხელმისაწვდომი იურიდიული მექანიზმების შესახებ;
- უფასო იურიდიული დახმარებით კერძო პირებისა და ჯგუფებისათვის, რათა დაცული იყოს მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ადამიანის უფლებების დარღვევების მონიტორინგით, დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით.

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა

- დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობით;
- გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი გარემოს შექნის ხელშეწყობით;
- ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების ორგანიზაციული განვითარებით;
- ახალი მედიის ხელშეწყობითა და პოპულარიზაციით.

თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა

- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლით;
- უმცირესობების უფლებების დაცვით;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობით.

გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ხელშეწყობა

- შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირებით და ანგარიშების მომზადებით;
- ადამიანის უფლებათა დარღვევებზე ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით;
- რესტიტუციის, რეპარაციის ადვოკატირებით;
- ნდობის აღდგენა შერიგებისა და მშვიდობის აღდგენით;

დემოკრატიული პროცესების გაძლიერება

- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება ორგანიზაციული განვითარებისა და ქსელური საქმიანობების საშუალებებით;
- სოციალური ჯგუფების სამოქალაქო საქმიანობებში ჩართვის ხელშეწყობით;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, კარგი მმართველობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ფინანსურ დახმარებას იღებს შემდეგი დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისაგან:

- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი;
- ფონდი "ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის"(NED);
- აშშ-ის საელჩო;
- კანადის საელჩო;
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);
- ღია საზოგადოების ფონდი;
- გერმანიის ფედერალური საგარეო ოფისი/გერმანიის საგარეო საქმეთა ურთიერთობების ინსტიტუტი (ifa);
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში;
- ბულგარეთის საელჩო;
- ევროპული კომისია;
- აშშ-ის გერმან მარშალის ფონდის შავი ზღვის ნდობის ფონდი;
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში;
- საერთაშორისო კოალიცია სისხლის სამართლის სასამართლოსთვის (CICC);
- ბულგარეთის საელჩო საქართველოში;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი EWMI/USAID;
- ესტონეთის საელჩო საქართველოში;
- IFES/USAID;
- არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL)

ანგარიშები 2023	
	<u>სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), 2023</u> *https://hrc.ge/files/reports/269monitoring-geo-final.pdf*
	<u>აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2023</u> *https://hrc.ge/files/reports/279(GEO)%20HRC%20%20Interim%20Monitoring%20Report_final%20(1).pdf*

	ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, 2023 https://hrc.ge/files/reports/286monitoring%20report%20-geo.pdf
	შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), 2023 https://www.hrc.ge/files/reports/300agciebis%20monitoringi%20geo.pdf

 NEWS NEWS NEWS

კვლევები 2023

მოსამართლის მიერ კითხვების დასმის უფლებამოსილების გამოყენება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, 2023

https://www.hrc.ge/files/295politmotiv,cases-geo.pdf



სამედიცინო მომსახურებისას დაზარალებული მოქალაქეების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი, 2023

https://hrc.ge/files/251medical%20cases-geo1.pdf

	ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის ტენდენცია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენების კვალდაკვალნ 2023 https://www.hrc.ge/files/254monitoring-geo.pdf
	სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე გამოყენებული შეწყალების და ამნისტიის აქტები, 2023 https://www.hrc.ge/files/256aministia%20da%20sheckaleba.pdf

	<u>სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, 2023</u> *https://hrc.ge/files/266LEGAL%20ASPECTS%20-geo.pdf*
	<u>არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, 2023</u> *https://hrc.ge/files/2751Challenges%20in%20the%20Protection%20of%20the%20Rights%20of%20the%20Child%20with%20track%20changes%20edited-geo.pdf*

	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები, 2023 *https://hrc.ge/files/293domestic%20violance-geo.pdf*
	შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის მეთოდოლოგია, 2023 *https://www.hrc.ge/files/302MONITORING%20METHODOLOGY%20FOR%20FREEDOM%20OF%20ASSEMBLY-geo.pdf*

	სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, 2023 https://hrc.ge/files/266LEGAL%20ASPECTS%20-geo.pdf

სხვა გამოცემები

	<u>გზამკვლევი აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორებისათვის, 2023</u> *https://www.hrc.ge/files/298gzamkvlevi.pdf*
	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მოსაზრებები ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, 2023 *https://www.hrc.ge/files/276%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf*

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

ფინანსური ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლები ლარში

ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)	285,955
ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი (NHC)	90,760
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)	46,151
გაეროს განვითარების ფონდი (UNDP/FLIP)	215,271
ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი (HRHF)	1,038
ევროსაბჭო	1,919
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდი Ifa/Zivik	393,829
ჰერტიეს სკოლა/ევროკომისია	93,890
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM)	13,573
დოიჩე ველეს აკადემია/ევროკომისია	93,065
ჰივოსის ფონდი	71,919
ჯამი	**1,307,370**

ფინანსური ანგარიში 2023

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლის ხარჯი



მისამართები:

თბილისის ოფისი

0160 თბილისი , ა. გახოკიძის ქ. 11ა, (ყოფილი გაგარინის 2 ჩიხი) III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 2 38 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ვებ-გვერდი: www.hrc.ge

გორის ოფისი

გორი, 1400, ლერმონტოვის ქუჩა #9, ბინა #5
ტელ.: 0(370) 29 25 91
ალექსი მერებაშვილი - გორის ოფისის კოორდინატორი
ელ-ფოსტა: aleksimerebashvili@gmail.com

გურჯაანის ოფისი

გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა 14, III სართული
ტელ.: 0 (353) 22-50-70
ლია ხუროშვილი - გურჯაანის ოფისის კოორდინატორი
E-mail: liakhuroshvili@gmail.com